

მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.
მზოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. მსრეთ იყოს სიხარული. ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.
მთვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მიძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11 28.

№ 19

1883—1893

15 ოქტომბერი.

გ ა ზ ე თ ი ს ო ა ს ი :

„მწყემსი“	„მწყემსი“ რუსული გამოცემით
12 თთვით 3 მან.	12 თთვით 5 მან
6 — 2 —	6 — 3 —

შულისა და წერილების გაგზავნა შეიძლება ამ ადრესით:
ს. წაყილი. ა. ა. ბაკაიძე „მიკემსი“ ა. „ნაყოფი“.

სემინარიუმების მდგომარეობა.


ვინც კარგად ჩაუკვირდება ჩვენ ცხოვრებას, ის უსათუოდ შენიშნავდა, თუ რა მდგომარეობაში არიან კურს დამთავრებული სემინარიუმები. ჯერ წარმოიდგინეთ, მკითხველო, თუ რამდენ დროს ანდომებს კაცი ოთხკლასიანი სასწავლებლის ღ სასულიერო სემინარიის დამთავრებას, სულ ცოტა რო ვთქვათ, 13—

შველა სტატიები და კორრესპოდენციები, რომელნიც იქმნებიან დასაბეჭდავთ გამოგზავნილნი, ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-მოწერილნი.

სტატია, რომელიც არ დაიბეჭდება, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაუბრუნდეს

სტატიები მიიღებიან რუსულს ენაზე დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.

14 წ. რჩება ყმაწვილი ხსენებულ სასწავლებლებში. მაგრამ ეს კიდევ არაფერია, თუ კი სწავლის შესრულების შემდეგ შობდნენ შესაფერ ადგილს. ყველა ჩვენთაგანმა კარგად უწყის, თუ რისთვის ამზადებს სემინარია მოსწავლეთ: იგინი ან მღვდელი უნდა იქნენ და ან მასწავლებელი, ე. ი. სემინარია ამზადებს მათ სასულიერო უწყებაში მოსამსახურედ. მაგრამ ეხლა იკითხეთ, ელისება ვინმე თუ არა სასულიერო უწყებაში სამსახურს? ძალიან იშვიათად



20⁰/₀-მა თუ მოიკიდა სადმე ფეხი, ისიც დიდი ღვთის წყალობაა. რა არის ამის მიზეზი? ჩვენი დაუდევრობა? სრულიადაც არა.

ზოგიერთი სასწავლებელი მასში კურსის დამთავრების შემდეგ, განურჩევლად ხარისხისა, ყველა მოწაფეებს გზაჯინს სხვა მაღალ სასწავლებლებში, ჩვენი სემინარიები ორ-სამ კაცს გზაჯინს სასულიერო აკადემიაში; არის იმისთანა სასწავლებლები, რომელნიც სპეციალურად ამზადებენ შაგირდებს და მერე ყველას ადგილს უნიშნავენ, როგორც მაგალითად სამასწავლებლო სემინარია და ინსტიტუტი.

გათავებენ ზემო აღნიშნულ სასწავლებლებს თუ არა მოწაფენი, მაშინათვე მთავრობა იმათ ამწესებს სხვა და სხვა ადგილას მასწავლებლებად: შენ აქ ხარ დანიშნული და შენ იქო, ესმის იმათ, და აი, ასე წინდაწინვე გამზადებულია ასპარეზი იმათი მომავალი მოქმედებისა.

ახლა ერთი ჩვენიც ვთქვათ: ასე უზრუნველყოფილია ასპარეზი ჩვენი მოქმედებისა, თუ არა? ასი წელი რა იცხოვრო და უსაქმო-უადგილოდ იხეტიალო, ხმას ვინ გაგცემს.

ჩვენ ვართ ჩაცვიფრული ორი ძიძის ხელთა შუა და, მგონი, ჩვენც ვერ ავცილდეთ იმ ხვედრს, რაც დაეპართებათ ხოლმე იმ ბავშვებს, რომელნიც ორ ძიძას აბარებენ. მაგალითად მღვდლობის მოწოდება გაქვს და გულით გწადიან, მაშინ, რა თქმა უნდა, მათ ყოვლად უსამღვდელოესობას უნდა მიმართო, და თუ კი მასწავლებლობა, მაშინ ბ. ეპარქიალურ მეთვალყურეს სამრევლო სკოლებისას, მაგრამ ვისთანაც არ მიხვალ, ყოველგან უარი გესმის: ადგილი არ არის და მოითმინეო.

ბატონებო, მოთმენა, რასაკვირველია, კარგი საქონელია, მაგრამ ხომ იცით: „პეტრეს მოსვლამდინ პავლეს ტყავი გააძვრესო“. რა ვქნათ, მშობლები აღარ გვიჯერებენ და აი რას გვეუბნებიან: „გვეყო ამდენი ხნის შიმშილ-წყურვილი, აწი მაინც ნუ გვაწუხებთ, მოგვცილდით აქიდან და როგორც გინდათ, ისე იცხოვრეთო“. ამ შემთხვევაში, თუ მკით-

ხავს ვინმე, მშობლები სულაც არ არიან გასაკიცხი, რადგანაც ჩვენ იმათთვის უბრალო და უსარგებლო ბარგი გამოვსულვართ.

გარდა ამისა, მკითხველო, კარგად გეცოდინებათ, თუ რა ცუდი თვალთ შეყურებს და როგორ ჟამივით ეჯავრება საზოგადოებას უსაქმოდ მოხეტიალე კაცი; რაც გინდა გავლენიანი იყოს ეს პირი და საზოგადოებისათვის კეთილის მდომი, მისი არაფერი არ სჯერათ და არც უნდათ.

და აი, ასე ყოველ მხრივ გზა შეკრულმა კაცმა რა უნდა ქმნას, რას ჩასქიდოს ხელი და როგორ გამოაკეთოს საქმე.

მგონი, ამგვარი გარემოების ასაცილებლად ბევრს ჩვენებს თხოვნა—ხვეწისთვის ჩაუჭიდნია ხელი, მაგრამ შეველა არსაიდან არი.

შეიძლება ვინმემ თქვას, სხვა უწყებაში რათ არ გადადიხართო. კარგი და პატიოსანი, მაგრამ ნუ თუ ჩვენმა ამდენი ხნის შრომამ სულ უბრალოდ უნდა ჩაიაროს? როგორ უნდა დავივიწყოთ ასე მალე ის მიზანი, რომლისთვის ამდენი ხანი გვამზადებდა სემინარია! მეორედ ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ სხვა უწყებაში ჩვენ ძლიერ ნაკლებად გვიღებენ, რადგანაც პირველადვე თავისიანებს აკმაყოფილებენ, რომლებიც უჩვენოთაც ბევრი არიან.

ჩვენშიაც ასეთი წესი რომ ყოფილიყო, ძლიერ კარგი იქნებოდა და მაშინ, რასაკვირველია, ამგვარ დრტეინვას ავცილდებოდით, მაგრამ სად არის. წარმოიდგინეთ, ორი-სამი წელიწადი ჩვენები უადგილოდ დაიარებიან, მაშინ როდესაც სამასწავლებლო სემინარიის და სამოქალაქო სასწავლებლის კურს დასრულებულებს ან არა და კურს დაუმთავრებლებს უჭირავთ ადგილი მეორე კლასიან და ორ-კლასიან სამრევლო სკოლებში. ამიტომაც, რომ ბევრი ჩვენთაგანი სხვა ეპარქიებში გადავიდნენ სამსახურში. *]

ვინმე სემინარიელი.

*] ვბეჭდავთ ამ სტატიას შეუცვლელად და მასთან არ შეგვიძლია არ დავეთანხმეთ ავტორის ზოგიერთ მოსაზრებას,



ზიგლიოზრაფია

სამღეთო სჯულისა და მცნებათათვის

მართლ-მადიდებელ კატეხიზმ.ას სახელმძღვანელოსამებრ

დეკანოზ პეტრე სმანოვას

თარგმნილი დეკ. პეტრე კონკოშვილის მიერ.

მიტროპოლიტის ფილარეტის „მართლ-მადიდებლობითი კატეხიზმო „ქართულთაჲც არის ნათარგმნი, მაგრამ იგი დღეს სანთლით საქებარია. ეს საქებრობა არც ისე დასანანია, რადგან იგი იყო მეტათ ბარბაროსულის ქართულით ნათარგმნი და ძნელი გასაგები. ჯერ საჭირო იყო თვით იმ კატეხიზმოს დაბიჯრი თარგმანი და შემდეგ—თარგმნა იმის განმარტებისა, მაგრამ ამნაირი თარგმანი, როგორც მოუძღვნია მ. დეკანოზს «კეთილ-მსახურთა მკითხველთათვის», მტრისას! შიგ არც სიმდაბივრე, როგორც უნდა სჭირდეს ამ გვარს წიგნებს, არც ეთიმოლოგიის ელემენტური ცოდნა, არც ფსიხოლოგი-

მაგრამ არც ის შეგვიძლია დაფაროთ, რომ ზოგიერთი მოთხოვნილება და სურვილი სემინარიელთა კანონიერი და ჯეროვანი არ არის. სამასწავლებლო სემინარიებში კურს დამთავრებულთ, მართალია, მთავრობა მაშინვე ადგილებს უნიშნავს, მაგრამ ისინი იქ მიდიან, სადაც მთავრობა უთითებს მათ. ხოლო ჩვენ სასულიერო სემინარიაში კურს დამთავრებულს თუ თავის სოფელში არ მიეცა ადგილი მღვდლისა, სხვა ადგილს არ სურვობს და ამისათვის ზოგიერთები, მართალია, დიდხანს რჩებიან უადგილოდ. რამდენი ხანია დაეძებენ სემინარიელს სვანეთის ერთი სამრევლოსათვის, მაგრამ არც ერთი სემინარიელი არ სურვობს იქ წასვლას. რომ ჩვენი სემინარიელები შესაფერად იყვნენ მომზადებული და კარგად შეგნებული ჰქონდესთ მღვდლის სამსახურს დიდი მოვალეობა, იგინი უარს არ იტყვიან, რომელი სამრევლოც უნდა დაუნიშნონ მ.თ. მაგრამ ყველას სურს ბლადოჩინობა, თავის სოფლის ან ქალაქის ეკლესიები, რომლისათვის მზად არიან დიდი შეწირულებაც გაიღონ, ჩვენის აზრით ასეთი მიმართულების სემინარიელები სამღვდლოდ არ უნდა იყვნენ მომზადებულნი.

რედაქტორი.

ურ-ლოგიკურათ სიტყვების დალაგება წინადადებაში და მისთ. რომ ცალიერ ლაქლაქად არ ჩამოგვართვან ამისთანა განაჩენი, მოვიყვანთ მაგალითებს, რომელთ სიუხვე მკითხველს აოცებს. მ. დეკანოზმა კი ინუგემოს მით, რომ სხვა ათასია ჩვენში ამისთანა ჩიქორთულებით მწერალი და მთარგმნელი.

ავილოთ თვით წიგნის სათაური «სამღეთო სჯულისა და მცნებათათვის». აქ ორი შეცთომია, ეთიმოლოგიური და სინტაქსური. უზენაესის არსების სახელის კანონიერათ ხმარება ყველასთვის პირველსაველდებულთა. როცა ერთს ჭეშმარიტ ღმერთზეა ლაპარაკი, მაშინ მისი სახელის ბრუნვება ასეთია: ღმერთი, ღვთისა, ღმერთსა, ღმერთმან, ღვთითა, ღვთად, ღმერთო. მრავლობითი რიცხვი არ აქვს. როცა მრავალღმერთობაზეა საუბარი და კერპი იგულისხმების, მაშინ სამს ბრუნვაში: ნათეოსაბითში, მოქმედებითში და ცვლილებითში ჩვეულებრივთ იხმარების: ღმერთისა, ღმერთითა და ღმერთად. მრავლობითი რიცხვიც აქვს: ღმერთები, ღმერთებისა, ღმერთთა და სხ. ქრისტიანობა და ერთღვთაება რაც შემოვიდა ჩვენში, მას აქეთ ასე იხმარების. ძველათგანვე ასეა მიღებული საღვთო-საეკლესიო წიგნებში, ხალხიც ასე ხმარობს: ღვთის მადლმა, ღვთით თუ შევასრულე, აღვიარებ ღვთად სრულად და კაცად სრულად, ღვთისმშობელი, ვინ ხარ ღვთიანი და მადლიანი, ღვთისამიერი აღამაანი, ღვთისმეტყველი, ღვთივ-განბრძნობილი, ღვთივგაბრწყინვებული და სხ. ჩვენს მთარგმნელს კი ერთგან წასცდენია კანონიერად თქმა «ღვთისა» და ისიც კორექტურის ნაცთომებში შეუტანია და გვთხოვს «ღმრთისა» თქვითო. სხვაგან კი ყველგან უკანონოთ ნახმარი აქვს: „ღმერთობა, ნაცვლათ უღვთოებისა, ღმრთისმეტყველი ნაცვლათ ღვთისმეტყველისა, ღმრთისმშობელი, ღვთისმშობლის მაგიერ და სხ. განა მარტო ჩვენი მთარგმნელი ხმარობს ასე? ბრიტანიის საზოგადოების გამოცემულ სახარებაშიაც ისეა ნახმარი და ეს ახალი შემოღებაა, რომელიც სახელმძღვანელოებშიაც კი შეუტანიათ („ბუნების კარში“, „წყაროში“) და რომელიც აღარ უნდა შევიდეს ახლად გამოსაცემ ბიბლიაში.

საცა ახალი ფორმაა საჭირო, იქ კი ჩვენი მთარგმნელი ძველსა ხმარობს. ძველათ იტყოდენ: ამ წიგნისთვის ვამბობ, კაცისთვის ვლაპარაკობ. ახლავამბობთ: ამ წიგნზე ვთქვი, კაცზე ვლაპარაკობ. პირველ შემთხვევაში არ ჩანს—წიგნის სასარგებლოთ,



კაცის გულისთვის ვლაპარაკობ, თუ მხოლოდ მის შესახებ. ამიტომ ჩვენს მთარგმნელსაც რომ ახალი ფორმა ეხმარა სათაურად «სადგომო სჯულა და მცნებაზე», ეს უფრო გასაგები იქნებოდა, რაც ძლიერ საჭიროა სამდაბიო წიგნში.

ზმნების მიმოხრაჲ ხშირათ უკანონო აქვს მ. მთარგმნელს. ასე ხმარობს: სდგებიან, სცდილობს, შეხსძლოს, ჰლუპავს, აღსთქვა, სწევხარ და მისთ. აქ **ს** ზმნების დასაწყისებში და შუაში სრულიად მეტია და სისინი გამოდის. ზმნის განმაპიროვნებელი **ს** ზმნებს ბოლოში აქვს მესამის პირის აღსანიშნათ და იგია შემოკლებული «არის». პირველყოფილ ენაში იხმარებოდა ამგვართ: დგომა+არს=დგას, დგომა+არიან=დგანან, მოსვლა+არიან=მოსულან (ახლაც ზოგან ამბობენ იმერეთში: მოსულარიან). **ჰ**-ც სრულიად არ უნდა მესამე პირზე. იგია მეორის პირის მავითარებელი ნიშანი, იგი არის განაზებული **ხ**. ეს ბგერა კიდევ შემოკლებული შემწეობითი ზმნაა „ხარ“. ასე რომ ძველის ძველათ იტყოდნენ: მოსვლა+ხარ=მოსულხარ. ზოგიერთს შემოქმედებითს ზმნებში ეს **ხ** გადმოსულია თავში, მაგ. ჰკითხე, ჰგვემე... მთიულების სიტყვა-პასუხში დღესაც იხმარება: ხკითხე. **ს** უნდა თავში ზმნებს სხვა პირზე გადასულის მოქმედების გამოსახატავათ, მაგალ. წეას სულ სხვა შემეცნებაა და სწეას სულ სხვა. „მოსწავლე წერს წერილს“ — სულ სხვაა და «მოსწავლე სწერს წერილს დედას» სულ სხვა. ზმნის „აღსარება“-ს მიმოხრა ხომ ვერ დაისწავლეს და ისაა! «სარწმუნოების აღვიარებაო» წერს მთარგმნელი (პნ გვერდზე) და თან ასეთ ფრაზას ზედ მიაყოლებს: «მაგალითად სარწმუნოების აღვიარებისა (აღსარების უნდა იყოს) შესაძლოა დავასახელოთ წმ. მოწამენი, რომელნიც თუმცა საშინლად სტანჯავდნენ და გვეპავდნენ, მტკიცედ აღვიარებდნენ (პ პირველის პირისაა) ქრისტესა». გაიგეთ რამე?

ისეთ წიგნში, როგორიც კატეხიზმოა, ან რომელიმე კანონმდებლობა, მიუცილებლათ საჭიროა ე. წ. მრავალზობითი ზმნის სახე. ჩვენი მთარგმნელი ასე ხმარობს: «რა აღგვეკრძალება მეექვსე მცნებით», „ხელმწიფება წარმოდგება ღმრთისაგან“ და მისთ. ეს როდის? მყოფადში? აქ უნდა იხმარებოდეს ის ფორმა, რაც სამსავე დროს ეკუთნის: აღგვეკრძალების, წარმოდგების. ამ სახის გამოსახატათ დაბიურათ ხმარობენ სიტყვას «ხოლმე» და ამასაც მაშინ, როცა წინადადებაში დროების გარემოება არ არი. არ ითქმის

«ხშირათ არის ხოლმე», «დილაობით მოდის ხოლმე» და მისთ. აქ «უხოლმეოაჲც» ჩანს, რომ მოქმედება ბევრგზის წარმოებს.

ზოგიერთი ზმნები სრულიათ კარგვენ თავიანთ მნიშვნელობას ჩვენის მთარგმნელის მიერ მიმოხრის უკოდინრობის გამო. მაგ. «როგორ უნდა ვსცემდეთ თაყვანსა», „ვადიდებდეთ და თაყვანსა ვსცემდეთ ღმერთსა“ (30 გვ.) ზმნები „ნუგეშინისცემა და თაყვანისცემა ორ-ორ სიტყვად არ იწერება. არ ითქმის: თაყვანსა ვცემ, არც ნუგეშანსა ვცემ, არამედ ასე: თაყვანისვცემ, ნუგეშინისვცემ; „მოვედით თაყვანისვცეთ“. აქნათესაობითი ბრუნვა მიუცილებლათ საჭიროა.

მიმოხრა იქით იყოს, თითონ სიტყვების მნიშვნელობა და მათგან აღნიშნული შემეცნებაჲც არეული აქვს ჩვენს მთარგმნელს, მას ვერ გაურჩევია ერთმანერთისაგან: წყენა და წყევა, მდაბალი და დაბალი (ქვენა), მოწამე და მოწმე, წმიდა და წმინდა, ფიცის მიმღები და დამფიცებელი. აი თითონ მთარგმნელის სიტყვები: „რომ არა ვაწყევინო რა და არ განვარისხო [25 გვ.], «ვშიშობთ, რომ არაფრით ვაწყევინოთ-რა» (26 გვ.), «მოიქმედოს მდაბალი საქციელი (61). (სიმდაბლე სათნოება კი არა, ცოდვა გონია ჩვენს მთარგმნელს). «როდესაც მოწამე სიტყუეს ამბობს ვისმეს (ს ბოლოში რათ უნდა?) შესახებ» (139 გვ.). მოწამეს რომ სიტყუე ელაპარაკნა, მოწამედაც არავინ შერაცხავდა. მთარგმნელს უნდა ეთქო: მოწმე. «დამფიცებელი ჰკარგავს უმაღლეს წყალობას, თუ ვინცობაა მართალს არ იტყვის, ანუ დაარღვევს ფიცს» (74 გვ.). დამფიცებელი მღვდელია, რომელიც აფიცებს, ვინც იფიცებს, ის ფიცის მიმღებია ანუ მოფიცარი.

განვაგრძოთ სიტყვების უკანონოთ ხმარებაზე: «კმრა ჩვენდა ხელმძღვანელობისათვის». უნდა იყოს: ჩვენდა სახელმძღვანელოთ. „დაახმოს თავისი სინიდისი“. (ძველს ასოებს თუ ხმარობთ, ბარემ ყველა ისინი და ყველგან უნდა იხმაროთ). სინიდისი კაცს გარეშე ნივთი როდია, უნდა ითქოს: დაინშოს სინიდისი... ხელს იქნევს და არა აქნევს... ჯოხს აქნევს, რაკი ჯოხს შემთხვევითი საგანია კაცის ხელში... სულს იბრუნებს და არა აბრუნებს და სხ. „წინდად ერთმანერთობისა ჩვენსა და უფალს შორის“. უნდა იყოს: წინდად ურთიერთობისა... «რა კავშირი აკავშირებს» (გვ. 16) უნდა საგანი ეთქო, თორემ კავ-



შირი რომ აკავშირებს, ვინ არ იცის? «უფალი თავის თავზე გვიჩვენებს, რომ მე ვარ მაგიერის გადამხდელი» [66 გვ.] სხვის მაგიერათ აღსანიშნი ასო **მ** აქ უნდა დაერთოს ზმნას ვარ, თორემ გამოდის, რომ «მე» ე. ი. მთარგმნელი არის მაგიერის გადამხდელი; თუ **მ-ს** არ დაუმატებ, უნდა ითქოს მესამე პირზე: გვიჩვენებს, რომ ის არი მაგიერის გადამხდელი. უთუოთ ზმნას, ანუ შესმენილს უნდა დაერთოს **მ**, თუ კი არის ზმნა წინადადებაში და არა ისე, როგორც მთარგმნელს აქვს მეორე ალაგს: „უბრძანა შემომიდექით მეო“ (30 გვ.) უნდა იყოს: მე შემომიდექითო.

მართლწერის ანუ საყენებელის ნიშნების დასმაც ბევრგან აქვს მთარგმნელს უალაგო ალაგას. მაგრამ ჩვენ ავნიშნავთ მარტო ორს, რომელთაც თანამედროვე ქართულ მწერლობაში თითქმის ყველანი უკანონობა ხმარობენ. პირველი არის მაკრის (ტირეს] ხმარება რთულ სიტყვებში. ვითომდა წაკითხვის სიადვილისთვის წერენ ასე: თან-და-თან, სხვა-და-სხვა, გულს-მოდგინეთ, • წეს-დება, თან-დაყოლილი, პირველ-სახე, თავანის ვცემთ, ყოფა-ქცევა, თვალ-და-თვალ, კეთილ-შობილი, ღვთის-მშობელი, ღმერთ-შემოსილი და სხ. ის კი ყველას ავიწყდება, რომ მაკრით შეერთება რთულ სიტყვებს უნდა მხოლოდ მაშინ, როცა ორის თუ სამი საგნის ერთათ აღნიშნვა გვინდა, მაგ. დედ-მამა, და-ძმა, მამა-შვილები, ცოლ-ქმარი, ღმერთ-მამაკაცი და მისთ. როცა რამდენიმე სიტყვით ერთი შემეცნება იხატება, მაშინ რაღა საჭიროა სიტყვების პირველყოფილს ფორმაში ჩაყენება.

მეორე შენიშნვა: ხშირათ სახმარია ერთნაირი რთული პირობითი წინადადება, რომელსაც კავშირად აქვს „თუ“. «ვეფხისტყაოსნის» ტექსტს რომ ასწორებდენ, მაშინ დაადგინეს სანდო პირებმა, რომ მძიმე (ანუ ორწერტილი) თუ-ს შემდეგ უნდა იჯდესო, ასე „უბრძანა თუ, წადი უხმე, უმისობა ვით გავძლიე“. ამიტომ და სხვებრივაც უკანონოა ჩვენის მთარგმნელის ფრაზები: «მაგალითი იმისი, თუ როგორ უნდა დაუმორჩილოთ სიყვარული თავისა ჩვენისა სულსა ჩვენსა» (23 გვ.). ეს ასე უნდა იყოს: მაგალითი იმისი, თუ როგორ უნდა დაუმორჩილოთ ჩვენის თავისადმი სიყვარული ჩვენის სულისადმი სიყვარულს. მეორე ფრაზა: „იმის დასასურათებლად, თუ რაოდენად ხელს უშლის...» ასე უნდა იყოს: დასასურათებლათ იმისა თუ, რამდენათ ხელსუშლის.

ამას გარდა მთარგმნელი ყურს არ უგდებს ე. წ. ენის ფონეტიკას, ურომლისოთაც ენა პირველყოფილს მდგომარეობაში დარჩებოდა. მეტადრე „ფონეტიკური სპობაა“ საჭირო სიტყვების შეთანხმების დროს. მართალია, მსაზღვრელსა და საზღრულ სიტყვებს წინადადებაში შეთანხმება უნდა, მაგრამ კეთილხმოვანებასაც ყურისდაგდება უნდა და ხალხურ სიტყვა-პასუხს. მაგ. უკანონოა, ამ მხრით თუ გავსინჯავთ, შემდეგი ჩვენის მთარგმნელის ფრაზები: „ამ ქვეყნიურს ცხოვრებას“, „გამოუთქმელის სიყვარულით“ (53 გვ.) „ისეთს ცხოვრებას“, «დიდს საქმეში», «ზეციურის სასუფევლისა», «მათს სამსახურში», „მათობელს სასამელსა“, «კოდვილს სულს», „დიდს სასჯელს“ და სხ. აქ ყველგან მუშაობს ე. წ. ფონეტიკური სპობა და ასო **ს** ყველგან უნდა მოისპოს მსაზღვრელი სიტყვების ბოლოებში, რაკი მომყოლი საზღრული სიტყვებიც იწყებიან იმავე **ს**-ით, თუნდა **ს**-ის მონათესავე ასოებით: ზ, ც, შ, ჩ-ით რომ იწყებოდენ, სულ ერთია. ამავე ფონეტიკური სპობის კანონის ძალით არ ითქმის: „ხორცილა აქვს“, «თვალთა აღპყრობა ცად მიმართ» (31 გვ.), «ის არა აქვს, რაც თითონ შეუძენია» (147).

აგრეთვე არ აქვს ჩვენს მთარგმნელს დაცული ე. წ. ფონეტიკური ცვალება და შემოკლება ბევრათა, მაგ. სიტყვების მაგივრათ: „აღძრვილის სიყვარულით“ (131 გვ.) «ვლოცვილობთ» «დაბურვილი», «იყვეს» და მისთ. უნდა ეთქო: აღძრულის, ვლოცულობთ, დაბურული, იყოს და სხვა.

ზმნისზედების შეთანხმებაც ზოგჯერ უკანონო აქვს მთარგმნელს; იგი ამბობს: „ხორციელის განკურნების გარდა“ (32), «მცნების გარდა» (102), „კაცის-კვლის გარდა“ და მისთ. ის კი ავიწყდება მთარგმნელს, რომ ადგილობითი ზმნისზედები თუ უკან დგანან, მაშინ მიცემითს ბრუვას თხოულობენ და თუ წინ, მაშინ — ნათესაობითსა: კაცს გარდა, მცნებას გარდა და გარდა კაცისა, გარდა მცნებისა; „კაცს ქვეშ“ და არა „კის ქვეშ“. „დღიური შრომის შემდეგ“ (126) კი არ უნდა, არამედ „დღიურ შრომას შემდეგ“ და სხ.

ერთი სტილისტიკური კანონი მდგომარეობს მასში, რომ აზრისამებრ მტკიცეთ შეკავშირებული სიტყვები უნდა იდგენ სიტყვა-პასუხში, რაც შეიძლება, ძალიან ახლო ერთმანართთან. რაც უფრო დიდი მანძილია მსაზღვრელსა და საზღრულ სიტ-



ყვეს შორის, მით უფრო მეხსიერება მძიმდება არაფრათ გამოსადეგის შემეცნებათა ასოციაციების მასალით. ამის ძალით არაა კანონიერი ჩვენის მთარგმნელის შემდეგი ფრაზები: „ღმერთი გვიკრძალავს პარვას ანუ იმის მითვისებას ამა თუ იმ სახით, რაც სხვას ეკუთნის“. გამოდის, რომ სხვას ეკუთნის სახე. ამის დალაგება ასე უნდა: ღმერთი გვიკრძალავს პარვას ანუ მითვისებას იმისას, რაც ამა თუ იმ სახით, სხვას ეკუთნის. სიტყვა „რაც“ საზღვრავს სიტყვას „იმისას“ და მასთან ახლო უნდა იდგეს. მეორე ფრაზა მთარგმნელისა: „ეკლესიაში მივდივართ, სადაც ჩვენ... უნდა იყოს: მივდივართ ეკლესიაში, სადაც ჩვენ...“ სიტყვა „სადაც“ საზღვრავს სიტყვას „ეკლესიას“ და მასთან უნდა იდგეს. აი კიდევ ფრაზები: „ცოდვა განდგომილთა იმდენად იმ წესსა და ადათში არ მდგომარეობს, რომელსაც ისინი მისდევენ“ (41 გვ.). ეს ასე უნდა დალაგდეს: განდგომილთა ცოდვა არ მდგომარეობს იმდენათ იმ წესსა და ადათში, რომელთაც ისინი მისდევენ. „ხელმწიფება მეფისა წარმოსდგება ღმრთისაგან“ (93 გვ.), უნდა იყოს: მეფის ხელმწიფება წარმოსდგების ღმრთისაგან. „მოძღვრება და დარიგება სულიერთა მწყემსთა მაშინ იქნება მხოლოდ ნაყოფიერი ჩვენთვის, როდესაც“ და სხ... (96 გვ.) უნდა იყოს: სულიერთ მწყემსთა მოძღვრება და დარიგება ნაყოფიერი იქნება ჩვენთვის მხოლოდ მაშინ, როდესაც და სხ. „ამისთანა წიგნების კითხვა, რომელშიაც აღწერილია...“ კითხვაში კი არაა აწერილი, არამედ წიგნებში. ამიტომ უნდა იყოს ასე: კითხვა იმისთანა წიგნებისა, რომლებშიაც (ანუ უკეთ - სადაც) არი აწერილი... „მოყვარული გული ცოლისა ბევრს ისეთს რასმე დაანახვებს ქმარსა, რაც შეიძლება უყურადღებოდ დასტოვოს თვითონ ქმარმა“. უნდა დალაგებულყო ასე: ცოლის მოყვარული გული ქმარს დაანახვებს ხოლმე ბევრს ისეთ რასმე, რაც შეიძლება უყურადღებოდ დატოვოს ქმარმა. სულ ასეა თითქმის. რამდენი ფრაზა უნდა გადმოვწეროთ?

სტილისტიკის მეორე წესი კიდევ ის არი, რომ ჩვეულებრივს სიტყვა-პასუხში მსაზღვრელი სიტყვა უნდა წინაუძღოდეს საზღვრულსა, უნდა ითქოს: მგალობელი ფრინველი და არა ფრინველი მგალობელი. თუ მოკიდვითი (კონკრეტული) საგნის სახელი წინ დასხი, მაშინ გამგონის თავში ამ დროს აღძრული შემეცნება შეიძლება ნამდვილი არ ამოჩნდეს; გამ-

გონს შეუძლია წარმოიდგინოს ფრინველი შინაური ანუ გარეული, რაც უფრო ბევრია მგალობელი ფრინველებზე. ამიტომ მავითარებელი სიტყვის „მგალობელის“ უკან დასხმით წარმოდგენა ისპობა, ფრინველის ერთი ნიშანი მეორის მაგივრად ხდება. ამით ცოდნის მოპოების მოქმედება ფერხდება. დროების ეკონომია აღარ იზოგება. ამიტომ ისა ჯობია, თუ სიტყვა „მგალობელი“ შეგვიშადადებს გზას მეორის სიტყვის „ფრინველის“ სწორი შემეცნებისას. ამ სტილისტიკურს კანონს უნდა მივუმატოთ ის ელემენტური სინტაქსური კანონიც, რომ, გარდა ზედშესრულისა, რიცხვითისა და ნაცვალსახელისა, მსაზღვრელ სიტყვებად არიან ხოლმე არსებითი სახელებიც. ამიტომ ეს უკანასკნელნიც ისე უნდა წინაუძღოდენ საზღვრულ სიტყვებს, როგორც პირველნი. ეს შენიშვნები რო ვიგულოთ, აი რამდენი უკანონო და აბურღულათ დალაგებული ფრაზები გამობრწყინდება ჩვენის მთარგმნელის წიგნში: „თანაც ენა ამ წიგნისა განსხვავდება“ (გვ. 1). უნდა იყოს: თანაც ამ წიგნის ენა განსხვავდება. „სხვა და სხვა ქმნილებასა, მის მიერ გაჩენილსა არარაობისაგან“ [გვ. 3]. უნდა იყოს: სხვადასხვას მის მიერ არარაობისაგან გაჩენილს ქმნილებას. „არღვევს სჯულსა ღმრთისასა“ [გვ. 5], უნდა იყოს: არღვევს ღმრთის სჯულსა. „გამოცდილნი მოძღვარნი კეთილმსახურებისანი“. უნდა იყოს: გამოცდილნი კეთილმსახურების მოძღვარნი. ფრაზები: „ღმერთმა უბოძა ერსა ისრაელისასა ზნეობრივნი მცნებანი მოსეს სჯულისანი; საყოველთაო მცნებანი ღმრთისა სჯულისანი; სიკეთე შეილთა მათთა; წესი მოთმენისა; თავდებად ქვეშარიტებისა; გამოვსახავთ ნიშსა ჯვარისასა; სიყვარული ჩვენის თავისა“ და მისთანები სულ ყველა ყალბებია. უნდა იყოს ასე: ღმერთმა უბოძა ისრაელის ერს მოსეს სჯულის ზნეობრივნი მცნებანი და სხ...

ეს სიტყვების უწესრიგოთ დალაგება იმდენათ უცოდინრობით არ მოსდის ჩვენს პატივცემულს მთარგმნელს, რამდენათაც მისის სიყვარულით დიდოქვიაობისადმი. სწორეთ ამისთანა სამდაბიო წიგნში უნდა მორიდება დიდოქვიაობას და, რაც შეიძლება, დაბიურათ გამოთქო ჰაზრები. აი მაშინ მიაღწევს მიზანს შრომა. თორემ ასეთი ფრაზები: „რომელთა



„კოდვთა გვიკრძალავს ღმერთი?“ შორს ვერ წავ-
ვიყვანს. ამ შენიშვნებს შემდეგ ადვილათ შეუძლია
მ. მთარგმნელს გაასწოროს წიგნი, რომელიც უამ-
რავი შეცდომებით ყოველ გვერდზე სასეა და მით
მართლმადიდებელ კატეხიზმოს არ კი გვითარგმანებს,
გვიხშავს, გვიბნელებს.

ქართულის ენის მასწავლებელი.

**მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის საქართვე-
ლოს ექსარქოსის ფლახბანეს მოკზაურობა
კახეთში.**

13 სექტემბერს მათმა ყოვლად უსამღვდელო-
ესობამ სწირა თელავის ტაძარში. წირვაზედ ჰგა-
ლობდა იგივე ხორო, რომელიც წინა ღამეს სასუ-
ლიერო სასწავლებლის ეკლესიაში ჰგალობდა ბ-
ნ. პ. სულხანიშვილის ლოტბარობით. მთავრები და
თანამწირველნი მღვდლები და დეკანოზები მშვი-
დობიანს და ასამაღლებლებს ზოგს ქართულად ამ-
ბობდნენ, ამიტომ ბ-ნი სულხანიშვილიც ხან ქარ-
თულ ხოროს ავალობებდა, ხან რუსულსა. წირვაზედ
აკურთხეს ერთი მთავრად და ორს, როგორც წინად
მქონდა მოხსენებული, უკურთხა სამღვდლო ენქერი
(მღ. ბენაშვილს და მენტეშაშვილს). წირვას აუარე-
ბელი ხალხი დაესწრო. მათი მეუფება უკმაყოფილო
დარჩა, რომ ტაძართან სამრევლო სკოლა არ არისო.

სადილი გამლილი იყო სასწავლებლის აივანში.
ოთხმოცამდის სული დაესწრო სამღვდელოება, თა-
ვად-აზნაურობა და მოხელეობა. სადილზედ პირველი
სადღეგრძელო სთქვა თავად-აზნაურობის წინამძღო-
ლმა თ. მაყაშვილმა და აღდგომილი ძვირფასი სტუ-
მარი ყოვლად უსამღვდელოესი ფლადიანე. იგრილა
მთელმა ხალხმა და ფეხზედ დგომით დალიეს მათის
მეუფების სადღეგრძელო. სადღეგრძელოზედ ქართუ-
ლი მრავალ ჟამიერ იძღერეს. ამ დროს წამოდგა ბ-ნი
ილია ზურაბიშვილი და შემდეგი წარმოსთქვა:

„თქვენა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობაჲ!

„ნება მიბოძეთ, მოვაგონო აქ მყოფთ ის შესა-
ნიშნავი სიტყვები, რომლითაც მიჰმართეთ თქვენს
სამწყსოს ბრწყინვალე ბზობის დღეს სიონის ტაძარში.

„ღღეს წმ. ეკკლესია ღღესასწაულობს იესო
ქრისტეს იერუსალიმში დიდებულად შესვლას და მეც,
უღირსი მსახური ქრისტესი, ღღევანდელს ღღეს,
ვიწყობ რა მსახურებას წმ. საქართველოს ეკკლესი-
ისას, აღსავე ვარ რუდუნითა და ზრუნვით თქვენდა
საცხონებლად, რომ მოგენიქოთ საუკუნო ნეტარება.
გარდმოავლინოს ღმერთმა კურთხევა თვისი საქმესა
ზედა, რომელსა შემდგარ ვარ და განახორციელოს
უფალმან თქვენსა სულიერ გაწესრიგებაზედ კეთილნი
განზრახვანი გულისა ჩემისანი.

«სული მითროდა, როცა პირველად დავადგი
ფეხი ამ, აწ უკვე ჩემგან სამშობლოდ მიჩნეულს,
მიწას“.

„ეს სიტყვები ღრმად შთაებეჭდნენ მგრძობი-
არე გულს იმ ერისას, ვისი მიწაც, როგორც თქვენა
ჰბრძანეთ, მორწყულია წამებულთა სისხლით და
რომელსაც მარადის მაღლა ეკირა სარწმუნოების
დროშა და ამ სახით მე-XIX საუკუნის დასაწყისს
მიღწეულმა, გადასცა იგი ერთმორწმუნე ერს.

„იმითი არის შესანიშნავი ეს სიტყვები, რომ
შინაარსად აქვსთ კეთილშობილური ჩვენდამო თა-
ნაგრძობა და გულწრფელად საყვარელი დამოკი-
დებულება, რომლიდგანაც ვიტყვი თქვენისავე სიტ-
ყვებით: „განდევნილია ყოველივე უვარგისი, ავი და
ბოროტი“!

«ერის გული მისანია! იმასა აქვს უნარი შენიშ-
ნოს ყოველივე სულის მოძრაობა და განზრახვანი
და, აი, მან გამოიციწო, ვინ მოდის მასთან და რის-
თვის მოდის!

„ცხოვრების შავ-ბნელს ქარგაზედ ცისარტყე-
ლასავით ახლად გვეხატება სახიერება ივერიის ეკ-
კლესიის უწინდებური მღვდელ-მთავრისა, რომლის
თვალეში ჰბრწყინავს სიყვარული მოყვასისა; ვგრძ-
ნობთ, რომ მარჯვენა, რომლითაც გვსახავს ჯვარსა,
მზად იქმნება, ყოველთვის გაჭირვების დროს ხალხს
წარუძღვეს საუკუნო ნეტარებისაკენ; ბაგენი განიპო-
ბებთან მისთვის, რომ აღავლინონ მაცხოვრისა მიმართ
მხურვალე ლოცვა კურთხებად მრავალ-ტანჯულისა
ერისა.



«გავისხენებ რა ამ სასიამოვნო მოვლენას, უნებურად მაგონდება იგავი მოწყალე სამართლისა. გამოჩნდა ადამიანურის მოვალეობის შესრულებით განსმკვალული კაცი, რომელსაც ღვთიურის გრძობით ამაღლებულს ყველასათვის ერთნაირად ემეტება ბედნიერება და თითოეულს აკუთვნებს ბედნიერების უფლებას.

ამ მამობრივმა მზრუნველობამ განაქარვა ტანჯვა-წვალება საზრუნავისა და იგი ვითარცა ფენიქსი ფერფლისაგან, განახლდა ცხოვრებისათვის და აღივსო უღრმესისა და უგულითადესის მადლობითა მხსნელისა მიმართ. დიახ, თქვენო მალალ ყოვლად უსამღვდელოესობავ, ჩვენთვის თქვენ მოწყალე სამართელი ჰბრძანდებით და ქართველი ერი აღტაცებით გთვლის თვის მოყვასად.

განიხარებს ქართველობა, რომ ცხოველ-მყოფელ სარწმუნოებას დიდისა მოწამისა ქეთევანისას, დავით თაშნეშელისას და დიდისა თამარისას, დაფუძნებულს «დღეიდგან თქვენს სამშობლო მიწაზედ» მოციქულთა სწორის ნინოსაგან, გამოწვრთნილს და ნასაზრდოებს ივერიის შვილთა სისხლითა და ვაებით, დღეს უდგას სათავეში ისეთი ყოვლად ღირსი, როგორც თქვენა ჰბრძანდებით, თქვენო მეუფებავ!»

სადილობამდის ყოვლად სამღვდელო კირიონი, ეპისკოპოსი ალავერდისა, წაბრძანდა ალავერდს.

სადილს შემდეგ მალალ-ყოვლად უსამღვდელოესი ფლაბიანე თავისის ამალით წაბრძანდა ალავერდისაკენ, თან გზად დაათვალიერა ეკლესიები და სასოფლო სკოლები.

ს. იყალთოს მისაბრუნში დახვდა მათ მეუფე-
 ბათ მთელი რაზმი ცხენოსანთა თავ. მაყაშვილისა, რომელთაც მათი მეუფებანი მიაცილეს ღვთაების ტაძრამდის. გალავანში იდგა თავად-აზნაურობა და გლეხ-კაცობა. წინ მიეგება მის მალალ ყოვლად უსამღვდელოესობას თავ. ვლადიმირ მაყაშვილი და მიჰმართა სიტყვით, რომელშიაც დახატა წარსული დიდება ამ ტაძრისა, დასახელა შესანიშნავი მღვდელმთავრები თვით თავ. მაყაშვილთაგან და რა მოიხსენია აწინდელი მდგომარეობა ტაძრისა, სთხოვა, ყურადღება მიექცია მისთვის. თვით ტაძარში მ. მანსურაძე შეეგება მათ მეუფებას მგრძობიარე სიტყვით. მერე მათმა მეუფებამ დაათვალიერეს ამავე სოფლის სამრევლო ეკლესია, სადაც სიტყვითვე შეეგება ადვილობრივი მღვდელი და მიბრძანდნ

თავ. ვლადიმირ მაყაშვილისას, რომელსაც მიწვეულნი ჰყავდნენ მათი მეუფებანი სადილად.

მალალ ყოვლად უსამღვდელოესმა ფლაბიანემ სადილის დროს ის აზრი გამოსთქვა, რომ ალავერდის განახლების საქმე უნდა გადიდოს მომავლისათვის, რადგანაც მართლ-მადიდებელთა ყოველი ძალ-ლონე ჯერ მცხეთის ტაძრისაკენ უნდა იყოს მიქცეული. ალავერდს, როგორც გარდაწყვეტილია, ჯერ-ჯერობით ოთხი სამხრე დაეხურება, რომ წვეთი შეიკაოს და მერე გვმართებს იმისთვისაც ფიქრი და მეცადინეობაო.

სადილის შემდეგ მათნი მეუფებანი წაბრძანდნენ შუამთის მონასტერში. აქ დაათვალიერეს ტაძარი, საწინამძღვრო სახლი, თითოეული სენაკი და სამონასტრო ბაღი თვისის აუზითა და თევზებით. აქ სალამოზედ გამოეთხოვნენ მათ მეუფებას ზოგნი და სხვათა შორის თელავისა და თიანეთის მასრების საეკლესიო-სამრევლო სკოლების ზედამხედველი მ. ნიკოლოზ ჯაჯანიძე, რომელიც ს. ურიათუბნიდგან დაწყებული, ვიდრე შუამთამდის თან ახლდა და რომელმაც შემდეგის სიტყვით დაუხატა თვისი საზედამხედველო სკოლები, როცა მალალ-ყოვლად-უსამღვდელოესი პირველს სამრევლო სკოლაში შებრძანდა:

«მათის უდიდებულესობის დაუფასებელი საჩუქარი ჩვენის ქვეყნისათვის იყო თქვენი საქართველოს ექსარხოხად დანიშვნა. თქვენ ხართ დაუმრეტელი წყარო სიყვარულისა და შებრალებისა, რომლის საერთო მოქმედებისა და მეცადინეობის ერთადერთი საგანი არის დავრდომილის ზე წამოყენება, ღირს ყოფა მისი ბედნიერებისა და იმ წყვდიადის განათება, რომელსა შინა იტანჯვის დავრდომილი. ამისათვის მოვახსენებ რა თქვენს სიყვარულით აღსავსე ყურადღებას, რომ ჩემსა საზედამხედველოში არის 14 საეკლესიო სამრევლო სკოლა, რომელთაგან ერთი ორ-კლასიანია, სამი ერთ-კლასიანი და 10 სა-ნბანო, რომლებშიაც სწავლობს 457 მოსწავლე ორისავე სქესისა; სკოლებ შორის 9 საკუთარს შენობაშია მოთავსებული, დანარჩენი დაქირავებულში; სუყველა სკოლებში 14 საღმრთო-სჯულის მასწავლებელია, 20 მასწავლებელი ქალი და კაცი, რომელთაგან 5 მარტო მასწავლებლად არის და სხვები კი მასწავლებლობას სხვა თანამდებობასთან ასრულებენ. არ შემიძლია დაუმალო თქვენს მალალ-ყოვ-

მწიგნ



ლად უსამღვდელოესობას, რომ, ერთის მხრივ, მოხსენებული სკოლები მრავალს განკარგებას თხოულობს, ხოლო, მეორეს მხრივ, სუყველა ამ სკოლებში მოსწავლეთა რიცხვი და თუნდა ამას ზედ მიუმატოთ თითქმის ერთი ამოდენავე რიცხვი სამინისტრო სკოლების მოსწავლეებისა, შეადგენს ერთს და მხოლოდ ერთს წვეთს იმ აუარებელი სასკოლო წლოვანების ბავშვებისას, რომელნიც უსკოლოდ არიან დატოვებულნი. ამისათვის, სამღვდელოების მიერ ბეჯითობის და ერთგულების გარდა, საჭიროა შესაფერისი განკარგულებანი და გამხნეებანი თქვენის მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობის მხრივ. ვითხოვ რა ღვდელ-მთავრულს ლოცვა-კურთხევას ჩემს საზედამხებდევლო მასწავლებელთა და მოსწავლეთათვის, ვარ ღრმად მსასოებელი, რომ ბევრი რამ საუკეთესოდ შეიცვლება აქ სახალხო განათლების საქმეში და ყველა ამ წარმატების მიზეზი შეიქმნებით თქვენ, თქვენო მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობავ“.

მისმა მეუფებამ საეკლესიო-სამრევლო სკოლების ზედაახედველთან ისაუბრა, მისცა ჯეროვანი დარჩებანი, გარდაუხადა მადლობა და ლოცვა-კურთხევით დაითხოვა. აგრეთვე გამოეხიზა თავად აზნაურობის წინამძღოლი თ. მაყაშვილი, რომლისაც განსაკუთრებით დიდი მადლობელი დარჩა ექსარხოსი.

დარჩნენ შუამთის მონასტერში მაზრის უფროსი ბ-ნი განსევიჩი, ბლალაჩინი დეკანოზი მ. ხელაშვილი, თ. ი. ანდრონიკაშვილი და ამაღა. ყველანი ვახშმად მონასტრის წინამძღვარ კირიონთან ბრძანდებოდნენ.

16 სექტემბერს დილით აღრე წაბრძანდა მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესი ფლაბიანე ტფილისისაკენ. გასაცილებლად გაჰყვნენ მისი მეუფება ყოვლად-სამღვდელო კირიონი, დეკანოზი ხელაშვილი, ბ-ნი მაზრის უფროსი და გზის ინჟენერი თ. ი. ანდრონიკაშვილი. პირველმა ორმა თეთრ-წყლებამდის გააცილეს, ე. ი. თელავის მაზრის მიჯნამდის და გამოეთხოვნენ, ბლალაჩინ დეკანოზ ხელაშვილს მათმა მეუფებამ დიდი მადლობა უბრძანა. მაზრის უფროსმა ბ-ნმა განსევიჩმა და თ. ანდრონიკაშვილმა ს. გომბორამდის ჩააცილეს. იქ მიიღეს ლოცვა-კურთხევასთან მადლობა მისის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობისა და მაშინ და დაბრუნდნენ უკან, როცა ექსარხოსის ეტლი გაისტუმრეს გომბორიდგან ტფილისისაკენ.

მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის მოგზაურობიდგან, სხვათა შორის, ნათლად გამოირკვა, რომ მისი მეუფება მღვდლობასთან აკავშირებს ხალხის მასწავლებლობას, ე. ი. მღვდლობის თანამდებობას, სხვათა შორის, შეადგენს სკოლებში საღმრთო სჯულის რიგიანად სწავლება მაინც, თუ ყველა საგნებისა არა- მასწავლებლობის მოვალეობის შეუსრულებლობისათვის შეიძლება მღვდელი ადგილიდგან ადგილზედ გადაყვანილ იქმნას და იქნება სულაც უადგილოდ დატოვებულ; მდიდარი მრევლის მღვდლები მალე დაჰკარგავენ თავის მრევლს, თუ სკოლის საქმეში შეეტყობათ სიზარმაცე ან დაუდევნელობა; მრევლი მოვალეა აძლიოს თავისს მოძღვარს და სხვა ეკლესიის მოსამსახურეს ყველაფერი ისე, როგორც უძლევიათ აქამდე, ვიდრე მღვდლებს ჯამაგირი დაენიშნებათ და როცა დაენიშნებათ, ეს გარემოება საყოველთაოდ იქმნებაო გამოცხადებული.

„ივერია“

ეს ჰატრიოტობა კი არ არის—სიკიქე და სისულელეა,

უცნაურს ამბავს იუწყება გაზ. «СВѢТЪ»-ის კოვენელი კორესპონდენტ: «ქალაქ კოვნის მცხოვრებნი დიდათ ააფელვა და ადაშფოთა თურმე ერთმა არა ჩვეულებრივმა მოვლენამ. დღეს კონანში უველასი, დიდისა და ჰატარის, წარჩინებულისა და უბრალო მუმის სალაპარაკოდ გამხდარა რომის კათოლიკეთა წმ. ჯვრის ეპლესიის ქსენდი (მღვდელი) აღიქსანდრე ბელიაკევიჩი და იმ ს მიერ ჩადენილი საქმეები. დიდი ხანია ქალაქში ხმები დადიოდ, რომ ხსენებულ ეკლესიის ქვემ დადი საიდუმლო სარდათებისა გმართული, სადაც ქსენდი ბელიაკევიჩი ამწყედევს და აწვალებს თავის-ს მრევლის იმ წევრთ, რომელნიც რუსებსა და მართლ-მადიდებელთ უახლოედები ნ და რაიმე საქმეს იჭერენ იმათთანაო. როგორც პოლიცამ აღმოაჩინა, ეს ხმები მართალი გამოდგა. ბელიაკევიჩი ისე ექცეოდა თურმე საზღაფში დამწყვდეულთ, როგორც საშუალო



საუკუნოების რევოლუციონერები ექცეოდნენ თავიანთ მსხვერპლებს. სარდაფში შენახული ჰქონდა სხვა და სხვა იარაღი, თოკები, რომლითაც იგი აწვავდა თურმე საწყლებს. ბნელი სარდაფები კუბოებითა და კაცის ძვლებით ყოფილა სავსე. ასე რომ მართა იქ შესვლა კაცს შიშის ზარს დასცემს.

როგორც უკვე ვთქვით, ამის შესახებ ხმები კარგა ხნია დადიოდა, მაგრამ უერადდებდა არავინ აქცევდა. არავის არა სჯეროდა, რომ განათლებულს ქალაქში განათლებულს კაცს ასეთი საინკვიზიტორო საქმეები ჩაეძინა, მაგრამ ი, 17 აგვისტოს ხმა სინამდვილედ გადაიქცა. ამ დღეს პოლიციის მოხელე ავდევეთან მივიდა და გლეჯიდა-დაფლეთილ ტანისამოსით, ნაცყმი და შემინებული ქალი ევა ბერნატოვიჩი და გამოუცხადა: 15 აგვისტოს ჩემს ბინაზე მოვიდა ქსენდია ბელიაკევიჩი ორის მოსამსახურით, ძალით ჩამსვა ეტლში და წმ ჯვრის ეკლესიაში წამიყვანა. იქ საკურთხეველში საიდუმლო კარი გააღო და ბნელს, ნოტიო სარდაფში შემავლო. ცოტა ხნის უკან თვით ქსენდიაც მოვიდა, რაღაც ჯოხები და თოკები მოიტანა და იმ თი დამწყო ცემა და წვალემა. იქამდის მცემა, ვიდრე გული შემდონდებოდა. როდესაც გონს მოვედი, ბელიაკევიჩმა ხელახლად დამიწყო ცემა. ასეთ წვალემაში ორი დღე და დამე ვიყავი. სარდაფი საესე ყო კუბოებითა და კაცის ძვლებით. ხანდახან ელვასავით რაღაც განათებდა სარდაფს, უცბად ცეცხლისმფრქვევი «ემმაკი» გამოჩნდებოდა და წყევბკრუდვას დამიწყებდა ხოლმე. საგვრად ქსენდია ერთი გამხმარი ნატეხი პურისა და ერთი ჭიქა წყალი მომცა. ქსენდია ასე იმიტომ მაწვალებდა, რომ ბინა მივცი გლეხის ქალს ქუკოვსკაას. რომელიც რუსთან სცხოვრობდა. ბოლოს, 17 აგვისტოს, დასუსტებული, დასიებული და დონე გამოღეული ამომიყვანეს სარდაფიდან და განათავისუფლეს. ჩემს მაგიერ ბელიაკევიჩმა ქუკოვსკაია წამიყვანა, რომელიც უთუოდ ცნლაც დამწვედელია სარდაფშია.

„ეს ამბავი იმ დღესვე ბოქაულს, პოლიცმეისტრს და ბრალმდებელს აცნობეს. სადამოს 11 საათზე სამყენი ბელიაკევიჩთან წავიდნენ და მოსთხოვეს ეჩვენებინა ის სარდაფი, სადაც ქუკოვსკაია ჰყავს დამწვედელი. ამ სტუმრობამ ბელიაკევიჩი ძალიან შეაშინა. პირველად ვარზე

დადგა, მაგრამ შემდეგ განაცხადა, რომ ქუკოვსკაია სარდაფში ჯერ არ დამიწვედებოდა, ამ ქამად ის ერთ ქონბიაო. მოხელენი მაშინვე წავიდნენ ამ ქონში, რომელიც ახლად გარდაცვლებულთა დასასვენებელი აღმოჩნდა, და საწული ქალი განათავისუფლეს. გამოკითხვს დროს ქუკოვსკაიამ განაცხადა, რომ ქსენდია მათრახითა და ჯოხებით მცემდა, სარდაფში მიპრობდა დამწვედევას, მაგრამ ამ დროს თქვენც მოხვედითო. ამასთან, როგორც ბერნატოვიჩმა, აგრეთვე ქუკოვსკაიამ, განაცხადეს, რომ ბელიაკევიჩმა მართა ჩვენ არ გვაწვალა. ჩვენისთანა დღე წინად ბევრმა სხვამაც გამოარა. ისე არ გავიდოდა დღე, რომ ბელიაკევიჩს ან ქალი, ან კაცი არა ჰყოლოდა დამწვედელიო.

«მეორე დღეს ქენდია ბელიაკევიჩი დაპატიმრეს. იმავე დღეს ბრალმდებელმა, პოლიციის მოხელეებმა და მოწვეულმა რქსვერტებმა დაათვალიერეს ის საიდუმლო სარდაფი, სადაც ქსენდია ხალხს ამწვედევდა. თემცა ზოგიერთის იარაღის დამალვა უკვე მოასწრეს, მაგრამ რაც იყო, იმანაც გაგვირგზამი მოიყვანა მნახველნი. სარდაფი მეტად ბნელი და ნოტიო იყო. აქა-იქ მრავლად იყარა კუბოები და კაცის ძვლები. იქვე იდგა «ემმაკი», რომელიც შიშის ზარსა სცემდა დამწვედელთ. ეს «ემმაკი» კაცის ჩონჩხი აღმოჩნდა, რომელსაც თავი ხისა ჰქონდა გაკეთებული დიდის რქებითა და ყერებით. ამბობენ, რომ ხანდახან სარდაფში „ნგელოზები“ გაჩნდებოდენ ხოლმეო, მაგრამ ეს „ანგელოზები“ ვერსად იპოვნეს.

ქსენდიის დაპატიმრების ამბავმა მთელი ალიაქოთი და აურ.ზაური გამოიწვია კათოლიკეთა შორის. განსაკუთრებით აღფლავებულნი იყვნენ რესტის წინააღმდეგ ქალები. როდესაც პოლიცია და ბრალმდებელი სარდაფს ათვალიერებდნენ, ეკლესიასთან აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი. ჯარმა ძლივს შეიკავა ბრობო. ხალხი გაიძახოდა, რომ ტუყილად დაპატიმრეს ქსენდია, იგი სარწმუნოებისთვის ტანჯულია და სხვა. ხალხმა ისიც კი მოიწადინა, რომ პოლიციისთვის ქვები დაეშინა. ბევრმა ქსენდიას დაპატიმრების გამო სამგლოვიარო ტანისამოსი ჩაიცვა. იმ მოსამსახურეებმა, რომელნიც რუსებთან იყვნენ, სამსახურს თავი დაანებეს“.

ამ საქმის გამო გამოძიება უკვე დაუწყით. (ი.კნ. ფ.“)



საყურადღებო შემიხვევა.

ხარკოვის ერთ განაპირა ადგილს მომხდარა ერთი საყურადღებო შემთხვევა, რომელმაც ამ ჩვენ დროში ბევრი უნდა დაათქროს. ერთ ვილაც კი, რომელსაც დიდი საცხოვრებელი ჰქონებია, სამსაჯულოს ბოქაული მიუყენებია ვილაც ო., რომ მისი საცხოვრებელი აეწერა. უკანასკნელს არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევია მოვანშისათვის. ბოქაულს ყოველივე საცხოვრებელი ო-სი აუწერია, მაგრამ აწერილი საცხოვრებელი ისე მცირე აღმოჩენილა, რომ მოვანზე სრულად ვერ დაკმაყოფილებულა. მოვანზე ის ის იყო თურმე აპირებდა ო-ს სახლიდან წასვლას, რომ ამ დროს მას თვალი შეუსწრია ო-ს ოთახის ერთ კუთხეში ჩამოკიდებული ხატისათვის, რომლის წინ, მიუხედავად იმისა, რომ ო. ძლიერ ღარიბი იყო, ანთებული ბაზმაკი კიდებულა. ხატის შექედილობა, ერთის შეხედვით, მოვანშეს ვეცხლისა ჰგონებია. მას უთხოვია ბოქაულისათვის, რომ ეს ხატიც აეწერა. ბოქაულს ამაზე მიუგია მოვანშისათვის, რომ ხატის აწერა ვალში არ შეიძლება, მხოლოდ შეიძლება ავწეროთ ხატის მორთულობა.— აი, ახლავ ვნახავ, თუ რა საფასისაა ხატის მოჭედულობა, — გულცივად წარმოუთქვამს მოვანშეს, რე შემდგარა სკამზე ხატის ჩამოსაღებად. როცა ეს დაუნახავს მოვალეს, გაყვიტლებულა, მივარდნია მოვანშეს რე ხვეწნა დაუწყია, რომ ხატისათვის ხელი არ ეხლო, და თან დაუმატებია, რომ ჩემმა მომაკლდავმა დედამ ამ ხატით დაშლოცაო. ეს რა ჩემი საქმეა, დაცივით წამოუძახია შეუბრალებელს მოვანშეს: — მომეციოთ ჩემი ფულები და მეც ხელს არაფერს არ ვახლებ.— ჯერ კიდევ არ დაესრულებია ეს სიტყვები, რომ მას ხელი ჩამოუვლია ხატისათვის, მაგრამ უცებ მთელი პირის სახე გაყვიტლებია და ხელი უძრავად დაშვებია ძირს. რომ იქ მყოფნი არ მიშველებოდენ, მოვანზე იატაკზე გაიშხლართებოდა; მისთვის მოუვლია ბნედას. ის მკვდარ-კოცხალი წაუყვანიათ სახლში, სადაც ერთ კვირაზე მეტე უავადმყოფნია. ამ ხნის განმავლობაში კ. არაფერს არ ჰამდა და მუდამ იმეორებდა: «უფალო, შემიწყალე, უფალო შემიწყალე!» ბოლოს, როცა კ. კარგად შექნილა, მაშინვე კაცი გაუგზავნია ო-ს. უკანასკნელი მოსულა რე ძლიერ განცვიფრებულა, როცა კ. ასე გამხდარი უნახავს: კ. იყო გამხდარი რე გაყვიტ-

ლებული, როგორც მკვდარი, თავზე შავი თმა თითქმის გათეთრებოდა. კ. უთხრა ო-ს, რომ ის მას ვალს აღარ გადაახდევინებს. ამასთან კ. სთხოვა ო-ს, რომ ამ უკანასკნელს ყოველ თვე მიეღო მისგან ფული, და ამ ფულით ეყიდნა ხოლომე ზეთი, რომ ხსენებული ხატის წინ მუდამ გაუქრობელი ყოფილიყო ბაზმაკი. კ. არავისთვის გაუმხელია, თუ რადანახა მან, ან რა იგრძნო იმ დროს, როცა ის ხატის ჩამოღებას აპირებდა. მხოლოდ მუდამ ერთსა და იმავეს იმეორებს: „მუდამ კაცი უნდა იყო და გქონდეს გული, კინალამ უფალმა არ დამსაჯა ამისათვის“.

სწ:კლია და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილზნეობაზე

ოკლახის კერა

მამა კაცი და დედაკაცი.

V.

(რუსულიდან)

თავის თავის დაწერობა ჭაბუკისა.

გაგრძელება*.

ადამიანი მაშინ მიაღწევს თვის დანიშნულებას, როდესაც ის გახდება სრული ბატონი ლომისა, ფრთებს შეაკვეცს ყველა მის მღვლეარებას, დასთურგნის ფეხით მრავალ თავიანს ვეშაპს. მაგრამ ძალიან ცოტანი არიან ისეთები, რომლებიც ნებას არ აძლევენ გონებაზე მტარვალურ ზედგავლენისას ლომსა და ვეშაპს, ამიტომაც მდაბლდება, პირუტყვდება და ეშმაკს ემსგავსება ადამიანი.

ადამიანს უქველად უჭირავს ერთი ამ სამ მდგომარეობათაგანი: 1) მდგომარეობა დამარცხებულისა, 2) მდგომარეობა თანასწორად ბრძოლისა და მდგომარეობა მძლეველისა.

* იხილე „მწყემსი“ № 18, 1898 წ.



ერთობ დამარცხებული კაცის მდგომარეობა საოცარი სანახავია. მისი ცხოვრება სავსეა ღრმა საიდუმლოებით, მოკულია ტრავმებით. ბევრი საფეხურები აქვს ასეთ მდგომარეობას და სრული უიმედოც არ არის. ერთ დონეზედ მაშინ დამყარდება, როდესაც ყურმოჭრილ ყმად გახდება კაცი მდბალ და გრძობიერ გულის თქმათა. შექსპირმა სთქვა: მიჩვენეთ ისეთი ვინმე, რომელიც მონა არ იყვეს სურვილებისა და მის სახეს გულის ფიცარზედ აღვიბეჭდაო“.

მართლაც ბევრი სრული მონა არიან სურვილებისა, და რომ დაუკვირდეთ, ამაზედ უფრო უმძიმესი და უნადვლიანესი მონობა არც კი არის. ჩვენი ბუნებისა, გონებისა, სინიდისისა, სამღვთო-წერილისა ღვთის ბრძანებისაგან დავალებული მოვალეობა გვაიძულებს ვებრძოლოთ, როგორც სულიერად ისე ხორციელადც ცუდ მიდრეკილებათა. დაკარგულია ის კაცი, ვინც რბილად ეკიდება თვის მდბალ მიდრეკილებათა, ვინც მათ ემორჩილება და ნებაზედ ჰყვება, ვინაიდგან, როგორც არისტოტელი ამბობს, ჩვენ უფრო ყადრიანი ვართ ვინემ ზომიერნი. ერთად-ერთი საშუალება თავის თავის დამორჩილებისათვის და დაცვისათვის ბრძოლაა ახლად გაღვიძებულ გულის თქმათა წინააღმდეგ: სათავეშივე უნდა მოჰკვეთოთ პირუტყული ლტოლვილება, გამოჩეკისათანავე უნდა დავსთურგნოთ გველი, მისი მზინვარე ქერქი. საოცრება იქნება ჩვენი ცხოვრება მაშინ, თუ ბოროტებას ვვალერსებით, ვენმატკბილებით, ვადიდებთ ეშმაკს, რომელიც ჩვენშივე სადგურობს. ცხოვრების გამოცდილება გვიჩვენებს, თუ რადიდი სიძლიერე აქვს ხორციელ ვნებათა, მაგ. ამავე დროს ყოველ კაცს შეუძლია ატაროს უზადო და ზომიერი ცხოვრება, ისე როგორც უცხოვრიათ სხვა ბევრ ადამიანებს. ამ გვარი ცხოვრების ზღუდე ბრძოლაა მანე მიდრეკილებათა წინააღმდეგ. ჩვენთვის მიუცილებელი საჭიროებაა გავამძინოთ თავის თავი ჩვენივე საწინააღმდეგოდ. უნდა ვისარგებლოთ სამღვთო მადლით, რომელიც ყველასათვის ხელ-მისაწვდენია, ვინც კი ეძიებს მას. ადამიანი დღიური გამოცდილებით, რომელიც ხშირად შეხვდება იმ დღიდან მოკიდებული, რაც ვაშლმა აცდუნა ევა, რწმუნდება, რომ გულის თქმათა აყოლა დაკარგვაა სრული თავის თავის დამორჩილებისა. ისეთ ვისმეს მოგვაგონებს ამ შემთხვევაში, რომელსაც სჯერა, რომ შეიძ-

ლება ჩავარდეს აშფოთებულ და გაქანებულ მდინარეში და არ იქნეს მოტაცებული, შესაძლებელია უკუნ წყვლიადში კლდე და კლდე სვლა უშიშრად, ყვავილებისაგან აბმულ ჯაჭვს შეუძლია შეაყენოს მისი გაზვიადებული მადა, რომელსაც მთლად შებყრობილი ჰყავს. ნუ თუ არ გადასცდება პატიოსნებას ის, ვინც გახრწნილი გრძობებით აღელვებული განუწყვეტლად შესცქერია და ყურს უგდებს ხარბად სირენის (ზღაპრული გმირი—ქალ-თევზი) გალობას? ვის სჯერა, რომ შეუძლია შელახოს თვისი ზნებრივი არსებობის წმიდა-წმიდათა გარეგანი ნიშნების გამოუაშკარებლად, დაუსჯელად? მას, ვინც გახრწნილი ლიტერატურითა და სხვა გარყვნილი მიმართულებით იცავს და იმტკიცებს იმ სურვილებს, რომლების გაზომიერება და აღვირის ასხმა, შესუსტება მხოლოდ მკაცრ თავდადებასა და ბრძოლას შეუძლია.

ავილოთ თუნდ საზიზღარი, საძაგელი სენი—ლოთობა. ვერც კი წარმოიდგენთ მთვრალზედ უფრო უარესს სანახავს. ის წააგავს ხომალდს, რომელიც აღელვებულ ზღვაში ნაფოტივით დატივტივებს, ის ემსგავსება ხომალდს, რომელიც დასჯახებია და შეხეთქია ცხოვრების კლდოვან ნაპირს. მას არ ძალუძს ეწინააღმდეგოს ქიმიურ ნივთიერებას, მონად ხდება უსულო საგნისა. რაც კი რამ კეთილ-შობილური და სამღვთო მოიპოვება მასში, უთმობს თვის უსაზიზღრეს მტერს.

«ჩემს წინ რომ ერთი ქიქა არაყი იდგესო,—სთქვა ერთმა ასეთ გახრწნილთაგანმა, და ჩემსა და მას შვა ჯოჯოხეთური ცეცხლი იგზნებოდეს, მე მაინც გაუწყვდიდი ხელს ჩემი სისუსტისა გამო და ავიღებდი მასო».

ნუ თუ ამ გვარი მდგომარეობის კაცი ეშმაკის მონა არაა? ნუ თუ ეს არ არის მატლი დაუძინებელი და ცეცხლი დაუშრეტელი, რომელიც თვით ადამიანისაგან არის აგზნებული და დაცული გულის სიღრმეში?

2. მეორე მდგომარეობა, რომელიც ჩვეულებრივია, ის არის, როდესაც გამარჯვებას ბრძოლაში ვერც ერთი ვერ ირჩენს. ის ადამიანი, რომელიც ნებას აძლევს მისი სულის სიღრმეში გაისმას ხმა მაღალი ღმუთილი სისხლით გაუმადლარი მხეცისა—სხეულისა, ან ის ახალ-გაზრდა, რომელიც წინ დაუხედავად ეტრფის გესლიან და წარმტაც სურვილებს,



რომლებიც ადრე თუ გვიან ფრთოვან გველად გარდაექცევა, ან ის კაცი, რომელიც საკუთარი სურვილით ეშმაკს უთმობს უფროსობას და ემორჩილება მას, უარ-ჰყოფს თვის წილ-ხდომილ იესო ქრისტეს, რომელიც მის არსებობაში სუფევს, ყველა ესენი იქმნიან სასუფეველისაგან.

ბევრად უმჯობესია და უადვილესი ციხის დაცვა, ვინემ მისი განახლება მტრის მიერ დაზიანების შემდეგ. ბევრად უადვილესია ბრძოლის მოგება, ვინემ შეყენება და უკან გაბრუნება იერიშით მოსრულ მტრისა. ასეთი ბეჯითი გამოცდილება, რომელსაც აგვიწერს მოციქული პავლე «სურვილი კეთილისა მიძს მე, მაგრამ საქმე კეთილისა მის არა ვჰპოვებ. კეთილი, რომელი გნებავს, არა ვყოფ... ხოლო უკეთუ, რომელი იგი მე არა მნებავს და მას ვყოფ, არა მე ვიქ მას, არამედ რომელი იგი დამკვიდრებულ არს ჩემთანა კოდვაჲ... რამეთუ შინაგნით მით კაცითა ვპოვებ სიკბობებასა სჯულსა შინაღვთისასა. მაგრამ ასოთა შინა ჩემთა სხვასა სჯულსა... უბედური კი მე ესე კაცი ვინ მიხსნეს მახეთა ხორცთა ამათგან, ამის სიკვდილისა?...

ასეთივეა ოვიდიის აღსარება:

„ვსჭვრეტ უმჯობესს, მაგრამ მომწონს და ველტვი უცუღესს“.

ლიუდოვი XIV ამბობს: «მე ვიცნობ იმ ორ ადამიანს, რომლებსაც მასილიონი აგვიწერს, მოხუცებულსა და ჭაბუკს, რომლებიც ჩვენ არსებაში ბუდობენ».

ყველა ხალხი უნდა გრძნობდეს, რომ თუ ანგელოზი ხელზე გვეკიდება, ამავე დროს ეშმაკი გულზე გვეკვრის. სწორედ ამით უნდა აიხსნას საოცარი და სამწუხარო მოვლენა უთანდათანობისა. ეს მიზეზივე ჰქვენს ნათელს იმ გარემოებას, რომ მოულოდნელი და საოცარი ბოროტება გამოაჩნდება იმ კაცის ყოფა-ქცევას, რომელსაც პატიოსნად ვსთვლიდით. იგივე მიზეზი გამოაშკარავებს მოულოდნელ ზნეობრივ გახრწნილებას იმ ხალხთა, რომლებიც მთელს სიცოცხლეში ზნეობრივი სიფაქიზის გვირგვინით გარემოცული იხედებოდენ.

ბევრ ადამიანთა არსებაშია ორი კაცი: ადამი და ქრისტე:

«გეგონებოდათ ორადი ცხოვრება აქვსო: გარეგან, მსოფლიურ საქმეს შეეპყრო და შეეხოჲჲ, მაგრამ ამავე დროს ბრძოლისა ველზედ, როგორც მხედარი

იცავდა მაღალ ზნეობის სამყაროს, სულიერ მხარეს». ან როგორც ამბობს უფრო მდაბიურად ტენისონი:

„საოცარი ნარევი—კაცი: მზად არის მსხვერპლად დაედოს დიდ სულოვნებას, მაგრამ ამავე დროს სურვილების ლაფშიაც იფლება“.

3. მესამე მდგომარეობა, ე. ი. ძლევა-მოსილობის ხანა, ყველაზედ უფსრულესია. ამ მდგომარეობაში ადამიანი აღჭურვილია საბრძოლველად, ერთგულად და ფხიზლად ადევნებს თვალ-ყურს თავის თავს და ამიტომაც ყოველს დროს სძლევეს სულიერ მანკიერებას და სხეულის სურვილებს, რომლებიც სულიერად ამზგავსებენ ადამიანს ვეფხვსა და მაიმუნს. ეს მდგომარეობა იმათი ზვედრია, ვინც, როგორც იოანე ღვთის მეტყველი აგვიწერს თვის «გამოცხადებაში», ბრწყინვალე სამოსლით, ხელში მზის შტოვებით, როგორც გუნდი წმიდანებისა და უბიწოთა, ყოველგან მისდევენ კრავს—მაცხოვარს. ესენი იგინი არიან, რომლებსაც გვიხატავს პლატონი როგორც მომავალი ზევსის ფრთოსან ეტლებში და თორმეტ უმთაფრეს ღმერთებ ზევით, მაშინ როდესაც სხვები, მკელობლები, ფრთებ შეკვეცილნი მოცივიან ძირს თავიანთ ეტლებში შემბულ ცხენების სიჯიუტისა გამო, რომლებიც ებრძვიან და სთურგნიან ერთიმანერთს.

პოეტებიც, რომლებიც ყოველთვის უმაღლესი ზნეობის მასწავლებლნი ყოფილან, მარად ჟამ ბედნიერებად სთვლიდენ და დიდ მნიშვნელობას აწერდენ ასეთ სასიქადულო ძლევას თავის თავზე.

ვირგილი ამბობს:

«ბედნიერია, ვინც მოვლენათა მიზეზის ცოდნას შეუპოვრად დაეძებს.

და რომელიც ამ გზაზედ მიშსა და უბედურებას არ უფრთხის, ფეხით სთელავსო».

ამასვე გვეუბნება დანტეც, რომელსაც ვირგილიმ მისი შეურყეველობისათვის სულისა და გულის ამაღელვებელს «მოჩვენებაში» ეს უძღვნა:

«სიმართლეს იპყრობს შენი მსჯელობა, თავის სებური, უმანკო არის, მაგრამ შესცდები და გაფლიდლები, ოდეს შენ იმას აღარ მიჰყვები.

გლოცავ გვირგვინით და მიტრით—იყავ მფლობელი თავის თავისა».

შექსპირი სწერს:

«მე დავჰკარგე უკვდავი ნაწილი ჩემი არსებობისა და დამრჩა მხოლოდ ხორციელიო».



ახალი ამბები და შენიშვნები.

მთავარ-მართველმა თავ. გოლიცინმა უკვე და-
ამტყიკა ტფილისის საბჭოს დადგენილება იმის შე-
სახებ, რომ ქალაქის ახალ სამ სკოლას და იმ ქუჩას,
რომელიც ექსარხოსის მოედანს სიონის ქუჩასთან
აერთებს, ეწოდოს **ერეკლე** სახელი.

* *

გამოვიდა ჟურნალი «მოამბე» მერვე № შემდე-
გის შინაარსით: 1, «კორიოლანოს» — ხუთმოქმედე-
ბიანი ტრაგედია, უილიამ შექსპირისა. თარგმანი თ.
ი. მაჩაბლისა; 2, „საშინელი წამი“ — პოლ-მარგერ-
ტისა, თარგმანი ივ. ზურაბიშვილისა; 3, «ნამდვილი
სამსახური» — ი. პოტაპენკოსი, თარგმანი ეფროსინე
კლდიაშვილისა; 4, * * * ლექსი, შიო მღვიმელისაო;
5, «გლეხი-კაცის ისტორია» — ერკმან-შატრიანისა,
დასასრული მესამის და დასაწყისი უკანასკნელი ნა-
წილისა, თარგმანი ი. მაჭავარიანისა, 6, «ყალბი
შაური» — კლემანს იუნოვისა, თარგმანი ივ. ზურა-
ბიშვილისა; 7, „ეტიუდები ქართულის ლიტერატუ-
რიდან“ — წერილი მეოთხე: თ. ი. ჭავჭავაძე, კიტა
აბაშიძისა; 8, «ნოყიერი და გემრიელი ნივთიერე-
ბანი» — პროფ. რ. ვირხოვისა, თარგმანი ს. ენუქი-
ძისა; 9, «სამრევლო სკოლები გურია-სამეგრელოს
ეპარქიაში» — თ. სახოკიასი; 10, ხელმწიფე იმპერა-
ტორის ნიკოლოზ მეორის უმაღლესი რესკრიპტი —
გ. ი. გძელაშვილისა; 11. «კრიტიკა და ბიბლიო-
გრაფია».

* *

მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა პალლა-
დი, პეტერბურგის მიტროპოლიტი ძლიერ ავად შეიქნა.
მოხდა ექიმების კონსილიუმი და მკურნალებმა
გადასწყვიტეს, რომ რადგანაც გული თანდათან
უსუსტდება მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესო-
ბას, სიცოცხლე მისი დიდს განსაცდელშიაო. მაგრამ
მადლობა ღმერთს უკეთ შეიქნა და დღეს კარგად
ბრძანდება.

* *

„ივერია“-ში ვკითხულობთ, რომ ამ მოკლე
ხანს პარიჟში გამოსულა გალუსტ კულბაკიანის მო-
გზაურობა საქართველოში და კავკასიაში. ეს მოგ-
ზაური სწერს თურმე, რომ წმიდა ნინო სომეხი
იყო. ამგვარად ბევრს კიდევ სხვა ცნობას ასხვაფე-

რებს და ამახინჯებს. ამ მოგზაურობას თავის დროზე
ჩვენს მკითხველებს გავაცნობთ.

ამავე გაზეთში ვკითხულობთ: ოქსფორდის უნი-
ვერსიტეტის პროფესორი ბ-ნი მორთილი სწერს მ.
გ. ჯანაშვილს, რომ გავიციანი თქვენი ისტორიული
და კრიტიკული ნაწერები, რომელთა შესახებ მოხ-
სენებას წარვუდგენ ლონდონის სამეცნიერო საზო-
გადოებას. თქვენი ქვეყანა ინგლისის საზოგადოები-
სთვის ჯერ ხანობით „terra incognita“-აო და ვე-
ცდები როგორმე გავაცნო ჩემს მემამულეებს ეგ
მშვენიერი ქვეყანაო. ქვეყანა, სადაც ალიზარდენ
შოთა, მოსე ხონელი და სხ. წარჩინებულნი და დი-
დებულნი მოღვაწეობდნენ, იწერება პროფესორი. და
ამასთანავე აცხადებს, რომ თქვენს «საქართველოს
ისტორიას» განვუზიარებ ალბიონის შვილებსაო.

ალეუტის და ალიასკინსკის ეპისკოპოსი ნიკო-
ლოზი სიმფეროპოლის და ტავრიჩესკის ეპისკოპოსად
დაინიშნა. ეს მღვდელ-მთავარი ნიკოლოზი არის
რექტორად ნამყოფი ჩვენს თფილისის სემინარიაში.

როხის ღვთის მშობლის ეკლესიის მღვდლის
მეცადინეობაზე სამრევლო სკოლის და ბავშვებს
აღზრდის შესახებ კარგ ამბებს გვწერენ. ღმერთმა
ქმნას, რომ ამ მღვდლის შრომა თანდათან გაძლიე-
რებულიყოს...

„ცნობის ფურცელში ვკითხულობთ: „ჩვენს
გაზეთშიცა გვქონდა მოხსენებული, რომ მისის ყოვ-
ლად უსამღვდელოესობის, გურია-სამეგრელოს ეპის-
კოპოსის, ყოვლად სამღვდლო აღექსანდრეს საფა-
სით და ლაზარევის ინსტიტუტის პროფესორის ბ-ნის
ალ. ხახანაშვილის რედაქტორობით მოკლე ხანში
დაიბეჭდება ქართულ ოთხთავის უძველესი ვარიან-
ტიო. ახლა გვატყობინებენ, რომ პეტერბურგში
სამეცნიერო აკადემია შეუდგება სახელმწიფო ხარჯით
ქართულ სახარების ამგვარისავე ძველ ვარიანტის
ბეჭდვასაო. სასურველია, ორკეცი ხარჯი არ გაწიონ
და, რაკი აკადემია ბეჭდავს ასეთ დიად საჭირო
განძს, ის ასი თუმანი, რომელიც ეპისკოპოსმა აღექ-
სანდრემ კეთილ ინება და გადასდო სახარების და-
საბეჭდად, მოხმარდეს ჩვენი საეკლესიო სხვა სიძ-
ველის დაბეჭდვას.



1 ოქტომბერს მცხეთის ტაძარში მწირველი ბრძანდებოდა მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ექსარხოსი ფლაბიანე ყოვლად სამღვდელოთა გორის ეპისკოპოსის ლეონიდისა და ალავერდის ეპისკოპოსის კირიონის თანამწირველობით. წირვაზე გალობდნენ ექსარხოსის მგალობლები რუსულად და ორი გუნდი მგალობლები ქართულად. ვანიკადენის დროს სიტყვა წარმოსთქვა რუსულად ამავე ეკკლესიის მესამე მღვდელმა მამა ხუროძემ. მლოცველები ძლიერ უკმაყოფილონი დარჩნენ, რომ ამ სიტყვის ვერაფერი გაიგეს. ამბიონის წინ ერთმა კაცმა ხმამაღლა თქვა: „მამაო! კარგი იყო, რომ ქართულად გეთქვა, რომ ჩვენც გაგვეგონა. აქ ყველა ქართველები ვართ და რუსები არ არიან და ვის ეუბნებოდით მაგ სიტყვას, არ ვიცით. გაგვეგონა რამე, მაღლობას გეტყოდით, და ესხა რა უნდა გითხრა, რომ შენი სიტყვიდან მე ვერაფერი გავიგონე“.

წირვის შემდეგ პარაკლისი იქნა გარდახდილი. ეკკლესია ძლიერ ღარიბულ მდგომარეობაშია... იმედია, რომ ამის შემდეგ მაინც ადგილობრივი კრებული მოახერხებს და იშოვის ხალიჩებს ანუ სხვა რაიმე ქვეშ დასაგებს და დააგებს ტრაპეზიდან სამსხვერპლომდე, განსაკუთრებით როცა მწირველი ბრძანდება მღვდელ-მთავარი.

ეურნალ-გაზეთების სიტყვით, ინდოეთის მცხოვრებთა შორის იმდენი არ იხოცება ყველა სხვა და სხვა ავადმყოფობით, რამდენიც გველის ნაკბენით. სასტატისტიკო ცნობებიდან ჩანს, რომ 1876 წლიდან 1898 წლამდე ინდოეთში დაღუპულა გველისაგან 133,300 კაცი და ნადირს დაუხოცნია 64,285 კაცი. ორთა შუა რიცხვით ინდოეთში გველის ნაკბენისაგან იხოცება 20,000 კაცი, ხოლო 1396 წ. დახოცილა 24,335. შინაურს საქონელს ხომ ინდოეთში გველი მუსრს ავლევს. 1876 წლიდან 1898 წ-დე გველს გაუნადგურებია 1.5000,000 ცალი შინაური საქონელი. 1896 წ. გველს დაუხოცნია 7145 ცალი საქონელი და იმავე წელს 81,397 ცალი საქონელი ნადირს დაუხოცნია.

1888 წ. ვინმე მაჩიტაძემ გამოცა პირველათ დასტამბული «არჩილიანი», თხზულება იმერეთის მეფის არჩილ მეორისა. მალე ეს წიგნი უწ. სინოდისგან მოწონებულ იქმნა სახმარებლათ სასულიერო სასწავლებლებსა და სემინარიებში. მაგრამ ეს წიგნი დღეს ძლიერ ცოტა - ლა არის დარჩენილი. ამისთვის საჭიროა მეორე გამოცემას შეუდგეს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომელსაც თავის წიგნთ-საცავში აქვს დაცული რამდენიმე ცალი არჩილ მეფის ნაწერებისა და რომელსაც, მაშასადამე, ღონისძიება აქვს სრული და ნამდვილი ტექსტი ალაღინოს და ისე გამოცეს და არა ისეთი ნაკლები და შეცთომებით სავსე, როგორც ბ. მაჩიტაძეს გამოუცია. მას ეტყობა, ერთ ხელთნაწერს გარდა სხვა არ ჰქონია შესადარებლათ. საჭიროა ამ მეორე გამოცემაში შევიდეს რაც რამ ნაწერი დარჩენია არჩილ მეფეს, წინ კარგი მისი ბიოგრაფია და დასახვა იმ ჭირ-ვარამით სავსე ეპოქისა, ბოლოს განმარტებითი ლექსიკონი ძნელგასაგებ ლექსთა და სიტყვათა. თანაც თუ დაერთობა სურათი ავტორისა, იმას რაღა აჯობებს. როგორც «ივერიამ» გამოაცხადა ამ დღეებში, ეს სურათი უკვე ამოუჩენიათ.

საეჭვო კითხვების განმარტება.

კითხვა. შეუძლია თუ არა ვისმეს, დავა განაცხადოს უკანონოდ შობილი შვილის შესახებ?

მაგება. უკანონოდ შობილი შვილის შესახებ დავის განცხადება კანონიერ გვირგვინოსან მეუღლეთაგან არავის არ შეუძლია გარდა ქირისა. (იხილე ტომი 16 პირველი ნაწილი სტატია 1378 და 1379. მეორე ნაწილის სტატია 463).

კითხვა. მღვდელს ან სხვა რომელიმე პირს, რომელიც პენსიას იღებს ხაზინიდან, ბერათ შედგომის შემდეგაც მიეცემა პენსია თუ არა?

მაგება. ბერათ კურთხევის შემდეგ პენსია მოესპობა პენსიის მიღების შესახებ წესდებულების 223 მუხლის ძალით, გამოცემულის 1896 წელსა.

კითხვა. პენსიის სამსახურში ჩათვლება თუ არა მღვდელს, რომელიც დიდი დროიდან მთავარდიაკვნად მსახურებდა, მაგრამ მედავითნის ადგილზე და მედავითნემ რამდენი ხანი უნდა იმსახუროს, რომ ერთ დროებითი შემწეობა მიიღოს?



მაგება. მთავარდიკონს და მღვდელსაც, რომელიც მღვდელთნის ადგილზე მსახურებენ ნამსახური დრო პენსიის დამსახურებისათვის ჩაეთვლება. მღვდელთნეს, რომელსაც ოცდა ხუთი წელიწადი უმსახურია, შეუძლია ერთდროებით შემწეობა მიიღოს სამ გზის.

კითხვა. რიგია თუ არა, რომ ნამსახურებით სიაში აჩვენოს მღვდელმა დეპუტატად დანიშვნა გამოძიებულთან ან სამღვდელოების კრებებზე დასასწრებლად სასულიერო სასწავლებლების საქმეების გამო?

მაგება. რიგიანი და კანონიერია, იქნეს მოხსენებელი ყველა ის დანიშვნა დეპუტატად, რომელიც სასულიერო მთავრობის მოწერილობით დამტკიცებულია, რადგან ამისთანა აღრჩევა დამამტკიცებელი საბუთია მისა, რომ აღრჩეული პირი ზნეობითი მხრით განსხვავდება ამნაირი აღრჩევით.

კითხვა. შეუძლია თუ არა მღვდელს ან მთავარ-დიკონს, რომელთაც უმსახურნაით სახალხო და სამრევლო სკოლებში 29 წ., მიიღოს მესამე ხარისხის ანაზ ორდენი?

მაგება. ანაზ მესამე ხარისხის ორდენი ეძლევათ 16 მუხლისა 45» სტ. დაწესებულის ორდენთა მიღებაზე, გამოც. 1892 წ. სას. უწყ. პირთა, რომელთაც უმსახურნაით სახალხო სკოლაში მასწავლებლათ 25 წ.

კითხვა. ერგება თუ არა ცოლათ უნტროს ძმის უფროსი ძმის ცოლის დისწული?

მაგება. არ ერგება თანახმად სინოდის უქაზისა, გამოც. 1810 წ.

კითხვა. ერთ გაუთხოვარ ქალს დაებადა შვილი, რომელიც მოუნათლაფი დაურჩა 4 წ. შემდეგ მიეთხოვა იმ პირს, რომლისაგანაც უკანონოდ დაებადა შვილი. დღეს ორივე თხოვილობს, რომ მოინათლოს და კანონიერ შვილად დაეწეროს. შეიძლება თუ არა ამ ბავშვის კანონიერ შვილად დაწერა?

მაგება. არ შეიძლება. თუ კანონიერ შვილად სურთ დაიწერონ და მემკვიდრედ გაიხადონ, მაშინ უნდა მიიქცენ თხოვნით ოლქის სასამართლოში და ითხოვონ მისი შვილობილობა 1460 და 16 ტომის კანონების სტატიებით, გამოც. 1892 წ.

კითხვა. შეიძლება თუ არა შთაწერა აღსარებითი სიაში მაზიარებელთა, რომელნიც დროებითად ცხოვრებენ სხვის სამრევლოში, მაგრამ როცა გვირგვინის კურთხევა და დამარბვა არის საჭირო, მაშინ თავიანთ მღვდელთან მიიქცევიან და მათ აღსარებლებინებენ?

მაგება. აღსარების სიაში ვინც აღსარებას იტყვის და ეზიარება, ყველანი უნდა ჩაიწერონ. მაგრამ როცა მკვიდრი მრევლი შთაიწერებიან მერე ცალკე უნდა ჩაწერონ ერთ დროებით მოსულთ მაზიარებელთა შორის.

კითხვა. ვისი საქმეა თვალ-ყურის დევნა, რომ შესამოსლები იყოს გაწყობილი ყოველთვის და მოპოვებულნი, სტაროსტის ვალია ეს, თუ მღვდლის?

მაგება. ეს მოვალეობაა მღვდლისა და არა სტაროსტის, სადაც ორი სამი კრებულია, იქ, რასაკვირველია, უფროსი მღვდლის, წინამძღვრის ვალია. სტაროსტა ვალდებულია საჭირო ფული შესამოსლის გასაკეთებლად და სასყიდლად თანახმად მეხუთე მუხლის 22 სტ. სტაროსტების ინსტრუქციისა, მისცეს მღვდელს.

კითხვა. როგორ უნდა მოიქცეს მღვდელი, როდესაც მასთან მიდიან ეკლესიაში მეფე და დედოფალი, რომელთაც ლოცვები არ იციან?

მაგება. ეკლესიური კანონებით მექორწინეთა უთუოდ უნდა იცოდნენ ათი მცნება, საუფლო ლოცვა, მრწამსი ღვთის მშობლის ლოცვანი. მაგრამ ყველაფერი მღვდლის კეთილ-გონიერებაზე არის დამოკიდებული თუ როგორ მოიქცეს იგი ამ შემთხვევაში. პირველად უნდა გამოაცხადოს საყოველთაოდ, რომ იგი არ აკურთხევს გვირგვინს სანამ ამ ლოცვებს არ წარმოთქვამენ და როცა ამას შეიტყობენ, მაშინ მრევლიც მოემზადება. ჩვენ მოძმეთა დაუდევრობაა, რომ არც ერთი, ლოცვა არ იცის ჩვენმა მდაბიო ხალხმა მაინც. დროა ჩვენი სამწყსონი მოვამზადოთ და მცირე ლოცვები მაინც დავასწავლოთ, რომ ისეთიანგარიშები არ იწერებოდეს ჩვენი დაუდევრობის შესახებ, როგორცსაც სწერენ.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

სალიტერატურო განყოფილება: სემინარიელების მდგომარეობა.— ბიბლიოგრაფია, სამღვთო სჯულისა და მცნებათათვის მართლ-მადიდებელ კატეხიზმ.ს სახელმძღვანელო-სამებრ დეკ. პ. სმირნოვისა, თარგმნილი დეკ პეტრე კონჭო-შვილის მიერ.— მაღალ ყოვლად უსამღვდელოების საქართველოს ექსარხოსის ფლაბიანეს მოგზაურობა კახეთში.— ეს პატრიოტობა კი არ არის, სიგიჟე და სისულელეა!—საყურადღებო შემთხვევა.— ახალი ამბები და შენიშვნები.

სწავლა და მაცნეობა ქრისტიანობის სარწმუნო-ბასა და კეთილ-ზნობაზე: ოჯახის კერა, მამაკაცი და დედაკაცი. თავის თავის დაპყრობა ჭაბუკისა.

— საეჭვო კითხვების განმარტება.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. **ლ. ლამბაშიძე.**

Редакторъ-Издатель **П. Д. Гамбашидзе.**

Дозволено цензурою, Тифлисъ, 14 октяб. 1898 г. ✦ Цензоръ прот. **Е. Е л и е в з.**

Типог. редакция журн. „Пастыръ“ (П. Д. Гамбашидзе) въ Кутаисѣ, въ д. бр. Ханановыхъ, на Нѣмецкой ул.